საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030133259159014

№ 01-256/ო **15 / ოქტომბერი / 2014 წ.**

ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ო ბ ი ს დ ა ც ვ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო პ რ ო გ რ ა მ ე ბ ი ს ხ ა რ ჯ თ ე ფ ე ქ ტ უ რ ო ბ ი ს გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ ს ა მ უ შ ა ო ჯ გ უ ფ ი ს შ ე ქ მ ნ ი ს შ ე ს ა ხ ებ

,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ხარჯთეფექტურობის გაზრდის, განფასებისა და ანაზღაურების მეთოდოლოგიის დახვეწის, სამედიცინო დაწესებულებებში აღრიცხვიანობისა და ფასწარმოქმნის ერთიანი სტანდარტების შემუშავების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზაზა სოფრომაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) მარინა დარახველიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, ჯგუფის წევრი;

გ) ილია ტარასაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, ჯგუფის წევრი;

დ) მაია გოტიაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი, ჯგუფის წევრი;

ე) ირმა ქიტიაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, ჯგუფის წევრი;

ვ) მიხეილ ჯანიაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, ჯგუფის წევრი;

ზ) ლელა წოწორია - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

თ) თეა თავიდაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და პროგრამების სამმართველოს

მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

ი) **ქეთევან გოგინაშვილი** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის შტატგარეშე მუშაკი, ჯგუფის წევრი;

კ) **მაია მაღლაკელიძე-ხომერიკი** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს" საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსი, ჯგუფის წევრი;

ლ) **ირაკლი ტაბატაძე** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, ჯგუფის წევრი;

მ) **სარგის ციხელაშვილი** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს საინფორმაციო ბანკის მმართვისა და სტატისტიკური ანალიზის დეპარტამენტის, სტატისტიკური ანალიზისა და პროგნოზირების სამმართველოს უფროსი, ჯგუფის წევრი;

ნ) **მაია კერესელიძე** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი, ჯგუფის წევრი;

ო) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სხვა წარმომადგენელი, ჯგუფის წევრი.

2. **სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მოწვეული წევრის სტატუსით მონაწილეობა ეთხოვოს:**

ა) **ირმა მჟავანაძეს** - საქართველოს მთავრობის კანცელარიის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის ეკონომიკის დეპარტამენტის წარმომადგენელს;
ბ) **ქეთევან თათოშვილს** - ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროექტის წარმომადგენელს;
გ) **გიორგი ხეჩინაშვილს** - ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ჯანდაცვისა და სოციალური განვითარების ოფისის ჯანდაცვის პროგრამების მენეჯერი, ჯანდაცვის სისტემებისა და დაფინანსების უფროსს მრჩეველს.

3. **სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი:**

ა) იწვევს და წარმართავს სამუშაო ჯგუფის სხდომებს;

ბ) უძღვება სამუშაო ჯგუფის საქმიანობას;

გ) განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის სამუშაო განრიგს და ჯგუფის წევრების ამოცანებს;

დ) საჭიროების შემთხვევაში იწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს, სამინისტროს ექსპერტებსა და სამედიცინო ასოციაციებს სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად.

4. **სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტს.**
5. **ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.**

მინისტრი დავით სერგეენკო